ჯამბუ ავალიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
Jambu.avaliani@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.03

ტროპული მეტყველების სწავლებისა და ინტერპრეტაციის თეორიულ-მეთოდიკური ასპექტები მხატვრული ტექსტის კითხვისას

მართალია, ჩვენი კვლევის საგანი ტროპის ზოგიერთი სახის სწავლებისა და ინტერპრეტაციის საკითხია, მაგრამ, ცხადია, მას ვერ განვიხილავთ, ზოგადად, მხატვრული ტექსტის სწავლების იმ აუცილებელი ინდიკატორებიდან იზოლირებულად, რომელიც ეროვნულ სასწავლო გეგმასა და ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ პროგრამაშია ჩამოყალიბებული; კერძოდ, მესამე თაობის **ესგ**-ეს მიხედვით, მოსწავლემ დაწყებითი საფეხურის მეორე ეტაპზე (მე-5 კლასიდან) უნდა შეძლოს:

- სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტეპრერირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება(საწყის დონეზე);
- გათვითცნობიერება ლექსის, როგორც მხატვრული ნაწარმოების, სპეციფიკაში;
- მხატვრული ტექსტიდან მისთვის ესთეტიკურად მიმზიდველი ადგილების დასახელება;
- ზოგიერთი მხატვრული ხერხის (ეპითეტი, შედარება, გაპიროვნება, ჰიპერბოლა), ხატოვან გამონათქვამების ამოცნობა და მათი ფუნქციის გააზრება;
- წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა;
- კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა.
- მხატვრული ტექსტის შედგენისას ნაცნობი მხატვრული ხერხების(ეპითეტის, შედარების, მეტაფორის) გამოყენება [1].

არა მარტო ტროპის სახეების, ზოგადად, მხატვრული ტექსტის სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შეუძლებელია ლიტერატურის თეორიის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე. ლიტერატურის თეორიის სწავლება განუყრელად არის დაკავშირებული თვით ლიტერატურის სწავლებასთან. მოსწავლე, რომელიც დაწყებითი კლასებიდანვე სწავლობს მხატვრულ ნაწარმოებებს, თანდათან, პროგრამული ლიტერატურული მასალის პარალელურად, უნდა ეცნობოდეს თვით სიტყვაკაზმული მწერლობის სპეციფიკის ელემენტებს, სახეობრივი აზროვნების ხერხებს, ერკვეოდეს ლიტერატურათმცოდნეობის ცნებებში (ტერმინებში) და ა.შ.

უნდა ითქვას, რომ მდგომარეობა ამ თვალსაზრისით არასახარბიელოა. მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოთა სასიკეთო ცვლილებების ფონზე, ძალზე მკრთალად გამოიყურება ლიტერატურის თეორიის საკითხები. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ სკოლაში ლიტერატურის თეორიის საკითხთა სწავლებისას მთავარია ამ საკითხთა, ცნებათა მჭიდროდ დაკავშირება ლიტერატურულ მასალასთან, სწორედ მხატვრული ნაწარმოების ტექსტზე მუშაობა უნდა გახდეს ლიტერატურის თეორიის ცნებათა სწავლების საფუძველი. დასკვნები ლიტერატურის თეორიის ამა თუ იმ საკითხის შესახებ ბუნებრივად უნდა

გამომდინარეობდეს ტექსტზე დაკვირვებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, უაზრო ზეპირობასა და ზუთხვასთან გვექნება საქმე [3].

უფრო კონკრეტულად: კლასში გარკვეული უნდა იქნეს არა მარტო ის, თუ რა ხერხებს იყენებს ამა თუ იმ ნაწარმოებებში მწერალი, არამედ ისინიც, თუ რა ფუნქცია აკისრია მოცემულ კონტექსტში ეპითეტს, მეტაფორას, შედარებას, რა როლს ასრულებენ ისინი ნაწარმოების იდეის გამოხატვაში. მხატვრული ხერხები და საშუალებები ისწავლება გაკვეთილზე – მხოლოდ ტექსტების შესწავლის პროცესში ვარჯიში კი ემყარება ლიტერატურის თეორიის სწავლების სამ პრინციპს (ეტაპს):

პირველი ეტაპი მოიცავს შესწავლილ საკითხებზე დაკვირვებას, მის ძირითად ნიშან-თვისებათა გამოკვეთას და შემდეგ ცნების განსაზღვრებას. აქ მასწავლებელი წინასწარ მოძებნის პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურული ტექსტებიდან შესაბამის მასალას, მოსწავლეების ყურადღებას გაამახვილებს ცნების დამახასიათებელ ნიშნებზე, ავარჯიშებს ანალოგიური მაგალითების მოძებნაზე, მიაწვდის ცნების განმარტებას და დაავალებს სათანადო ნიმუშების სახლში ამოწერას.

მეორე ეტაპი შესწავლილი საკითხის განმტკიცების პროცესია. მასწავლებელი სისტემატური ვარჯიშით აღწევს იმას, რომ მოსწავლეები მიღებულ ცოდნას პრაქტიკულად იყენებენ და ცნების განსაზღვრებასაც შეგნებულად იმახსოვრებენ.

მესამე ეტაპზე კი არკვევენ ნაწარმოებში გამოყენებული მხატვრული ხერხის ფუნქციას [5].

დაწყებით საფეხურზევე მოსწავლემ უნდა შეძლოს ენობრივი და მხატვრული საშუალებების გარჩევა და შეფასება. შეკითხვების დასმა ამ პროცესის ფარგლებში, რაც ხელს შეუწყობს ტექსტის ესთეტიკური აღქმის უნარის ჩამოყალიბებას. დაწყებითი საფეხურის დამთავრებისას თავისი ცოდნისა და დაგროვილი გამოცდილების გამოყენებით მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- რეალურსა და შეთხზულს (მხატვრულ პირობითობას) შორის განსხვავების დანახვა; მხატვრული ჟანრების – ზღაპრის, იგავის, ლექსის, მოთხრობის და აგრეთვე, საინფორმაციო ხასიათის (ისტორიული, ეთნოგრაფიული, საბუნებისმეტყველო, სალექსიკონო) ტექსტების სპეციფიკის ცოდნის გამოვლენა;
- მხატვრულ ტექსტში გამოსახვის საშუალებათა (დიალოგის, აღწერის, დახასიათების), აგრეთვე მხატვრული ხერხების (ეპითეტის, შედარების, გაპიროვნების) ამოცნობა [8].

ხელოვნების დარგებიდან სკოლაში ყველაზე დიდხანს, ვრცლად და საფუძვლიანად მხატვრული ლიტერატურა ისწავლება. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა ეპოქის შემოქმედის ლირიკული ლექსების სწავლებას.

ლირიკული ნაწარმოების სწავლება ლიტერატურის მეთოდიკის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ეს საკითხი არაერთი მეცნიერ-მეთოდისტის კვლევის საგანი გამხდარა წარსულში და უფრო აქტუალური გახდა დღეს-ინფორმაციის მოზღვავებისა და სწავლების ტექნოლოგიების ბუმის პირობებში. ეს სირთულე და განსაკუთრებულობა კარგად აისახა ეროვნულ სასწავლო გეგმასა და ქართული ენის და ლიტერატურის საგნობრივ პროგრამაში. ამავე დროს, არაერთი საინტერესო მეთოდური ხასიათის წერილი გამოქვეყნდა საგანმანათლებლო საიტებსა და ინტერნეტგაზეთებში [4].

ტროპული მეტყველების სახეების გააზრება, მათი ფუნქციების ახსნა მხოლოდ კარგ მკითხველს შეუძლია, ამიტომაც სასკოლო ასაკის პირველსავე წლებიდანვე უნდა ვიზრუნოთ და ვიფიქროთ ლექსის მკითხველის აღზრდაზე. ცხადია, მომზადებული, გემოვნებიანი მკითხველის ჩამოყალიბება არ ხდება სპონტანურად ლირიკული ლექსის აღქმის გარეშე

მხატვრულ სახეებსა და ტროპებზე საუბარიც ზედმეტია. აღნიშნული პრობლემა არაერთი მეცნიერ-მეთოდისტის, ფსიქოლოგისა და მასწავლებლის მსჯელობის საგანი გამხდარა [7].

ლირიკის აღქმაზე როცა ვლაპარაკობთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ცნობილი რუსი მეთოდისტის ნ. დ. მოლდავსაკაიას საყურადღებო გამოკვლევასა და დაკვირვების ლირიკის აღქმის თავისებურებებისა და აღქმის დონეებზე.

ნ. დ. მოლდავსკაიას ექსპერიმენტით, ლირიკის აღქმის დონე განსხვავებულია სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე [6].

ლექსის აღქმა მჭიდრო კავშირშია ასაკობრივ ფაქტორთან. ამ თვალსაზრისით ყველაზე „ძნელია“ საშუალო ასაკი. აღსანიშნავია, რომ ამ ასაკში მოსწავლეთა ინტერესი ლექსისადმი ნელდება, მათ სიუჟეტიანი ნაწარმოებები(მოთხრობა, ნოველა, სათავგადასავლო ან ისტორიული ხასიათის რომანები) უფრო იტაცებთ. შემდგომ კლასებში კი კვლავ ჩნდება ლირიკისადმი ინტერესი.

მხატვრული ტექსტის აღქმას უკავშირდება – **ტროპის ზოგიერთი სახის, განსაკუთრებით რთული ტროპული ფორმების გააზრების საკითხი.**

ტროპები ლექსის უმთავრესი ელემენტია. როგორც უკვე იცით, ტროპებს გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებულ სიტყვებს უწოდებენ. ტექსტში ყველა სიტყვას თავისი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ხშირად ვიყენებთ მათ არა საკუთარი, პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი, გადატანითი მნიშვნელობით. მაგალითად, **,,ზღვა ხალხი იყო“,** სიტყვა **,,ზღვა“** არაპირდაპირი გადატანითი (ამ შემთხვევაში ,,ბევრის“) მნიშვნელობით გამოიყენება.

ამჯერად, ყურადღებას გავამახვილებთ ტროპის ისეთ სახეებზე, როგორიცაა: **ეპითეტი, შედარება, ჰიპერბოლა** და **მეტაფორა.**

ეპითეტი. ეპითეტის სწავლებისას მოსწავლეებს უჭირთ ამ მხატვრული ხერხის განსაზღვრებიდან ლოკალიზება, ერევათ ლოგიკური და მხატვრული განსაზღვრება. სიტყვა **ეპითეტი** წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან და ქართულად თანდართულს, დამატებულს ნიშნავს იგი საგნისა და მოვლენის რაიმე ნიშანს გამოყოფს და მასზე გადააქვს მკითხველის ყურადღება. თუმცა ყველანაირი განსაზღვრება ორგვარია: **ლოგიკური** და **მხატვრული**; რით განსხვავდება ერთიმეორისაგან?

გავიხსენოთ ყველასთვის ცნობილი ქრესტომათიური მაგალითი, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის პოემის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ შესავალში წარმოსახული სურათი: **ღამეს, ველს, მთას და ალაზანს** პოეტი სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ახასიათებს: **ღამე – მწუხარეა, ველი – მშვენიერი, მთა – მდუმარი, ალაზანი კი – შეუპოვარი.**

სიტყვები: **მწუხარე, მშვენიერი, მდუმარი და შეუპოვარი** – განსაზღვრებებია, რომლებიც თან ერთვის არსებით სახელებს და ამ არსებითი სახელებით გამოხატული საგნებისა და მოვლენების უკეთ წარმოსახვას, მათი ერთი შეხედვით დაფარული თვისებების წარმოჩენას უწყობს ხელს. ამგვარ განსაზღვრებებს **ეპითეტებს** უწოდებენ **ლოგიკური** და **მხატვრული**, რით განსხვავდება ერთი მეორისგან კარგად ჩანს მაგალითით:

ა) ჯირითის დროს **შავი ცხენი** ჩამორჩა.

ბ) **შავი ყორანი** გამითხრის საფლავს.

ამ მაგალითებში ხაზგასმული სიტყვები – **შავი ცხენი, შავი ყორანი** მსაზღვრელი სიტყვებია; ორივე შემთხვევაში **„შავი“** ზედსართავი სახელია, მაგრამ ორივე შემთხვევაში **ეპითეტი არაა.**

პირველ შემთხვევაში ჩვენ გავიგეთ, თუ რომელი ცხენი ჩამორჩა. ამიტომ ზემოაღნიშნულ მაგალითში სიტყვა **„შავი“ ლოგიკური განსაზღვრაა.** მეორე მაგალითში სიტყვა **შავი** მიგვითითებს ყორნის ისეთ თვისებაზე, რაც ჩვენთვის უიმისოდაც ნათელია(ყორანი ისედაც

შავია), მაგრამ ამ შემთხვევაში **„შავი“ ეპითეტია,** მხატვრული განსაზღვრებაა, რადგანაც „**შავს**“ ამ შემთხვევაში სხვა დანიშნულება აქვს: იწვევს ჩვენში გარკვეულ ემოციიას, აძლიერებს ჩვენს შტაბეჭდილებას, გვაგრძნობინებს პოეტის მოსალოდნელ დაღუპვის საშინელებას [2].

მეორე. განვიხილოთ სინტაქსური წყვილი – „შიშველი ხმალი“.

ლ. გოთუა ერთ-ერთ პიესაში წერს „ერთხელ გიორგი სააკაძემ ხმალი გადატეხა – ხმალი **გადატეხაო?** – ამბობს ერეკლე მეფე. – მაშ, მე ქარქაშს გავტეხ“. ერეკლე მუხლებზე გადაიმტვრევს ქარქაშს და **შიშველ ხმალს** ჰაერში შეათამაშებს. პიესის ამ მოქმედებას ეწოდება **„შიშველი ხმალი“.**

ეპითეტი **შიშველი** ამ შემთხვევაში **ლოგიკური** შინაარსის შემცვლელიცაა და ამავე დროს, **მხატვრული** მნიშვნელობისაც.

ამგვარად, განსაზღვრებას, რომელიც საგანს ან მოვლენას სხვა მსგავსი საგნებისა და მოვლენებისაგან გამოყოფს, მათთან შეპირისპირების მიზნით გვიხასიათებს, **ლოგიკური განსაზღვრება ეწოდება.**

მაგალითად, სიტყვათშეთანხმებებში: **„წუხანდელი ღამე“, „გადათიბული მინდორი“, „მაღალი მთა“, „ადიდებული მდინარე“** – სიტყვები: **წუხანდელი, გადათიბული, მაღალი და ადიდებული - ლოგიკური განსაზღვრებებია.**

ზოგჯერ რაიმე საგანს ან მოვლენას განუშორებლად ახლავს თან ერთი და იგივე ეპითეტი. ასეთი რამ, უფრო ხშირად, ხალხურ შემოქმედებაში გვხვდება. მაგალითად, ზღაპარში ბოროტი დედაბრის **მუდმივი ეპითეტია ,,ავსული''**, ავის განმზრახველი, ადამიანისა კი – **,,პირშავი''. მუდმივი ეპითეტი** მყარად იკავებს ადგილს არსებითი სახელების გვერდით და ჩნდება განუყრელი წყვილები; **,,შავი' ბედი'', ,,შავი დღე'', ,,ცისფერი ოცნება'', ,,ოქროს ხელები'',** და სხვა.

მუდმივ ეპითეტებს ხშირი განმეორების გამო ვეჩვევით და თითქმის ვეღარც კი ვამჩნევთ (**შეადარეთ: წარმავალი წამი** – ბეჩავი წამი; **ლამაზი თვალები** – დაშინებული თვალები; **სალი კლდე** – გულხავსიანი კლდე; **ტკბილი სიტყვა** – შაქრიანი სიტყვა;).

ამრიგად, ეპითეტი არის სიტყვის მხატვრული განსაზღვრა, განსხვავებით ლოგიკური განსაზღვრისაგან.

ეპითეტის ცნების სრულიად გააზრებისთვის, საჭიროა გავარკვიოთ **მუდმივი ეპითეტის** ცნება.

– რა არის მუდმივი ეპითეტი?

ეს ისაა, რაც ნაწარმოებიდან ნაწარმოებში უცვლელად გადადის, უმეტესად ხალხურია და თაობიდა თაობას გადაეცემა სიმღერების, ზღაპრების, ზეპირმეტყველების საშუალებებით. ზოგჯერ მუდმივ ეპითეტებს საკუთარი პერსონაჟებისთვის პოეტები და მწერლებიც ქმნიან.

მუდმივ ეპითეტებად მიიჩნევა: ყვავილი (სურნელოვანი), **მზე** (წითელი), **ზღვა** (ლურჯი), **დღე** (ნათელი), **ღამე** (ბნელი), **ტყე** (დაბურული), **ხელები** (თეთრი), **მგელი** (რუხი).

შედარება. შედარება საგანს ან მოვლენას სხვა საგნისა და მოვლენისათვიოს დამახასიათებელი თვისების სასუალებით წარმოგვისახავს. შედარებას მწერალი მიმართავს შთაბეჭდილების გასაძლიერებლად. შედარების დროს აუცილებელია ორი, ან მეტი მოვლენა: რა უნდა შევადაროთ და რას უნდა შევადაროთ.

ისევ გავიხსენოთ ილიას პოემა ,,კაკო ყაჩაღი''. პოემის შესავალში მწერალი ასეთ სურათს წარმოგვისხავს: ,,...ურემი მძიმე მიჭრიალებდა, გზას აღვიძებდა, და ნაღვლიანად მასზე მეურმე მწუხარს სიმღერას დაჰღუღუნებდა''. შემდეგ კი დასძენს: ,,ღუღუნი იგი ჩამრჩენია გულს, მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი''.

როგორც ჩანს, ილიამ იფიქრა, რომ ეპიზოდი **მწუხარე** საკმარისად ვერ ახასიათებდა მეურმის სიმღერას და უფრო ზუსტი წარმოდგენა რომ შეგვქმნოდა ამ სიმღერაზე, იგი გლოვის ზარს შეადარა. ფაქტია, სხვა საგანთან და მოვლენასთან შედარება საგნისა და მოვლენის უფრო ნათლად წარმოსახვის საშუალებაა.

ჩვენ მიერ მოხმობილ მაგალითში მეურმის სიმღერა გლოვის ზარს ნაღვლიანი კილოს მიხედვით ედრება, იმ თვისებას, რითაც ერთი მოვლენა მეორეს ედრება, **ნიშანი ეწოდება.**

მხატვრული შედარების ნიმუშებია:

,,ვეფხვის ჭრელი პერანგივით
გაიაშალა ქართლის ველი“ (გ. ლეონიძე)

,,მისი ხმალი ხან კრაზანასავით ბზუოდა, ხან წკეპლასავით შხუოდა, ხან გველივით სისინებდა“ (,,არსენა მარაბდელი’’).

შედარების მხატვრულ ხერხს მიმართავს გ.ლეონიძე, როცა ჩიკოტელაზე წერს:

...ჩიკოტელას თავ-პირი ავდრიან დღეს უგავდა და ციხის ნაშალივით სევდიანი იყო.

შედარება ორგვარია: 1. მარტივი, რომელიც ერთს შედარებულსა და შესადარებელს გულისხმობს: ,,წამოდგა ისიც ფეხზედა, როგორც კლდის ვეფხვი ძლიერი’’ (ვაჟა).

გაშლილი, ორმხრივია შედარება, როცა საგნის თუ მოვლენის სრული დახასიათებაა წარმოდგენილი: – ,,ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა, / მობურთალსა – მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა, / მართ აგრეთვე მელექსესა – ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“.

შედარების დროს ხშირად გამოიყენება თანდებულები: **ვით, ებრ.** მაკავშირებელ ფუნქციას ასრულებენ, აგრეთვე შემდეგი სიტყვები**: როგორც, ვით, მსგავსი, მგონია, ისე, თითქოს, ვითომ და სხვ.**

პრაქტიკაზე დაკვირვება გვიჩვენებს რომ, არა მარტო მოსწავლეებს, თვით მასწავლებლებსაც უჭირთ ერთმანეთისაგან შედარებისა და ეპითეტის, უფრო მეტად კი ეპითეტისა და მეტაფორას გამიჯვნა...

სასერთიფიკაციო გამოცდაზე აპლიკანტს მიეცა დავალება: მიუთითეთ, რომელ მხატვრულ ხერხს იყენებს პოეტი დილის პეიზაჟის დასახატავად: – **„მკვდარი თევზივით აგდია დილა“.**

აპლიკანტმა მხოლოდ ერთი მხატვრული ხერხი მიუთითა – **შედარება** („მკვდარი თევზივით აგდია“), რომელიც პოეტს გამოყენებული აქვს დილის პეიზაჟის დასახატავად, თუმცა, ვერ ამოიცნო მეტაფორა („მკვდარი თევზივით აგდია დილა“. – მთლიანად მეტაფორული სახეა).

მეორე, აპლიკანტს უნდა დაესახელებინა, თუ რომელ მხატვრულ ხერხს იყენებს ფაეტონის მითის ავტორი წინადადებაში: **„ღამემ შუადღის ციდან განდევნა დღე“.**

აქ გამოყენებული მხატვრული ხერხი მეტაფორას წარმოადგენს (მზის დაბნელების მეტაფორას).

აპლიკანტმა კი, იგი გაიაზრა, როგორც **გაპიროვნება.** საქმე ისაა, რომ პედაგოგს ტროპული მეტყველების სახეების (მხატვრული ხერხების) განსაზღვრისას ყურადღება გადააქვს მხოლოდ 2 სიტყვაზე, ამ შემთხვევაში **„ღამემ ... განდევნა“,** არ აქვს გააზრებული ამ წყვილის **კონტექსტუალური ფუნქცია,** მისი ადგილი მთელ ფრაზაში. ამიტომაც, სადაც კი შეხვდება უსულო საგნისა და სულიერი საგნისათვის დამახასიათებელი ქმედებების აღმნიშვნელი სიტყვები, ყველგან გაპიროვნების ხერხს მიაწერს მათ.

ლიტერატურის თეორიის საფუძვლების თანახმად, სტრიქონში გამოყენებული მხატვრული ხერხი **მეტაფორაა,** მაგრამ შინაარსობრივად ძალიან ჰგავს **გაპიროვნებას.** საქმე იმაშია, რომ მასწავლებელი კვლავ გაიაზრებს რა სტრიქონის **კონტექსტუალურ მნიშვნელობას,**

ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ **სუბიექტისა და ზმნის კავშირზე** („წვიმამ მოიკლა“) და ყურადღების მიღმა რჩება, რომ ზემოთ მოხმობილ ფრაზაში მოქმედება გამოხატულია **ფრაზეოლოგიზმით „მოიკლა ჟინი“.**

ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობა კი, ზოგადად, ეფუძნება არა მათში შეწყვილებული ლექსიკური ერთეულების, არამედ წყვილის ერთიან სიმბოლურ სემანტიკას. შესაბამისად, ფრაზეოლოგიზმების მხატვრულ ფუნქციას, სწორედ რომ, მეტაფორული სახის შექმნა წარმოადგენს.

მხატვრული ხერხების იდენტიფიცირება ხშირად ჭირს პროზაულ ტექსტში; მაგალითად, მოსწავლეებს ეძლევათ კითხვა: – დაასახელეთ, რომელ მხატვრულ ხერხს იყენებს მწერალი, **აკა მორჩილაძე,** როცა წერს: „მე კვლავ გავიმეორე, რომ სიცილია ის ადგილია, სადაც ფორთოხლის წვენიც კი სისხლისფერია, რაც გოგოებმა არ დაიჯერეს, ფორთოხლის წვენი წითელი ვერ იქნებაო“...

მასწავლებელი მიიჩნევს, რომ მწერალი მიმართავს **შედარებას** – სიცილიაში არსებული ვითარება, ფორთოხლის წვენთანაა შედარებული, მაგრამ, **ფორთოხლის წვენი წითელი რომ ვერ იქნება?**

როგორც მიხვდით, მასწავლებელებმა, **მეტაფორა – „სიცილიაში ფორთოხლის წვენიც კი სისხლისფერია“** პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეს და ამიტომაც თქვეს, რომ ფორთოხალს წითელი წვენი არა აქვს. სინამდვილეში კი ეს მეტაფორაა და იმას ნიშნავს, რომ **სიცილიაში ძალიან ბევრი მკვლელობა ხდება.**

როგორც ვხედავთ, ტროპული მეტყველების ახსნა და იდენტიფიცირება არც თუ ისე მარტივი საქმეა, განსაკუთრებით ეს ითქმის მეტაფორაზე, რომელიც ფაქტობრივად, მხატვრულ მეტყველებას საფუძველია.

ტროპის მართებული გააზრება შესაძლებელია მხოლოდ ინტენსიური, პრაქტიკული სწავლებით. მივცეთ მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოები, რომლებიც მხატვრული ხერხების ამოცნობასა და იდენტიფიკაციას ითხოვს.

ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა და საგნობრივი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, თბილისი, 2018.
2. გულდამაშვილი ე., ლიტერატურის თეორიის სწავლება IV-VII კლასებში, თბილისი, 1985.
3. კვარაცხელია მ., მხატვრული ხერხების სწავლებისთვის ინტერნეტ გაზეთი „Matsavlebeli.ge“ (2019.23.05).
4. მეთოდური რეკომენდაციები V-VI კლასებში მშობლიური ლიტერატურის ახალი პროგრამით სწავლებაზე, თბილისი, 1991.
5. მახარაძე ვლ. ლიტერატურის თეორია საშუალო სკოლაში, განათლება“, 1973.
6. Молдавская н.д. Особенности Восприятии лирики и уровни восприятя лирики, в кн. Литературное развитие школьников в процессе Обучения, М. 1976.
7. რამიშვილი დ., მეტყველების განსხვავებულ სახეთა ფსიქოლოგიური ბუნებისათვის, თბილისი 1963.
8. წიგნიერება საქართველოში, თბილისი, 2008 (ავტორი ია კუტალაძე).

Jambul Avaliani
Akaki Tsereteli Universitaty

Theoretical and methodical aspects of teaching and identification of figurative speech while reading literary text

Abstract

The study of literary theory in school is inseparably connected with the teaching of literature itself. From the primary grades, students should, in parallel with the program material on literature, familiarize themselves with the elements and specifics of expressive speech, with the means of figurative thinking, and also understand literary terms, etc.

Students find it difficult to find and identify certain figurative means of expression, mainly comparisons and epithets, and they also do not distinguish epithets from metaphors.

You can achieve the desired result by applying a variety of strategies and activities in learning. You must remember that it is important to be able not only to memorize and repeat the types of trope mechanically, but their practical application must be taught to find, identify and determine their functions and meaning in the text.